პროექტის ფაქტები

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

სოფლის გაძლიერება ციფრული ჩართულობის გზით

განხორციელების ვადა: 01.12.2023 - 30.11.2027

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 5 000 000

მთლიანი ბიუჯეტი: € 55 000 000

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
Solidarity Fund PL (Poland)

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:

პროექტის აღწერა:

REDI - სოფლის გაძლიერება ციფრული ჩართულობის/ინკლუზიის მეშვეობით არის პროექტი, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირისა და Polish Aid-ის მიერ (Polish Aid-ის კონტრიბუცია მოგვიანებით დაზუსტებდა). ინიციატივა მიზნად ისახავს საქართველოს სოფლებსა და ქალაქებს შორის არსებული ციფრული უთანასწორობის შემცირებას გაუმჯობესებული საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურისა და ციფრული წიგნიერების გზით. პროექტი განხორციელდება საქართველოს 4 რეგიონში, სადაც საჯარო სივრცეებში მოეწყობა ინტერნეტთან წვდომის წერტილები და შეიქმენა ციფრული სოფლის ჰაბები ადგილობრივ მაცხოვრებელთა უნარების განვითარებისთვის.

მოსალოდნელი შედეგები:

- გაზრდილი წვდომა Wi-Fi-ზე სამიზნე რეგიონების სოფლებში, მათ შორის მაღალმთიან სოფლებსა და საჯარო სივრცეებში.
- სამიზნე თემების შესაძლებლობების გაძლიერება ციფრულ ინფრასტრუქტურასთან და სათემო ინტერნეტთან მიმართებაში.
- მცირე და საშუალო საწარმოებისა და სამიზნე თემების ცოდნისა და შესაძლებლობების გაღრმავება ინტერნეტისა და შესაბამისი ციფრული სერვისების, მათ შორის, ელექტრონული მმართველობის სერვისების გამოყენებაში,
- ყველაზე დაუცველი ჯგუფების (ახალგაზრდები, ქალები, მოხუცები, უმცირესობები, უმუშევრები და ა.შ.) ინფორმირებულობის გაზრდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ციფრული გზით ჩართულობის შესაძლებლობების შესახებ.
- დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების გაძლიერება სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის გაფართოებისა და ახალი ტექნოლოგიების გამოყენების გაზომვის კუთხით საქართველოს რეგიონებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული პროექტის ფარგლებში.